„ვამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

---

5 იანვარი 2025

საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებში

(2009-2010 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

24-25 იანვარი

2026

ახმეტა

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია.
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.
- ძიუდოისტთა შერჩევა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებისთვის.

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2009-2010 წელს დაბადებული ძიუდოისტები, რომელთაც 16-18 იანვარს გამართულ შესარჩევ ტურნირში მოიპოვეს საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატზე ასპარეზობის ლიცენზია.

IV. შეჯიბრების პირობები, დრო, ადგილი, რეგისტრაცია, კენჭისყრა.

- შეჯიბრება ჩატარდება 24-25 იანვარს ახმეტაში ფარნაოზ ჩიკვილაძის სახელობის დარბაზში.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის შემდეგ.
- შეჯიბრებაზე ჩამოსვლის დღე 23 იანვარი, წასვლის დღე - 26 იანვარი.
- შეჯიბრების დასაწყისი 10:00.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით.
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო). დამატებითი დრო განისაზღვროს „ოქროს ქულამდე“.
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში 8 წონით კატეგორიაში:
- -50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, -81კგ, -90კგ, +90კგ;
- 24 იანვარი -50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ;
- 25 იანვარი: -73კგ, -81კგ, -90კგ, +90კგ;

VI. აწონვა

აწონვები ჩატარდება წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების წინა დღეს.
თბილისი, ძიუდოს აკადემია, ბელიაშვილის 38.
ახმეტა, ფარნაოზ ჩიკვილაძის სახელობის დარბაზი.
არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათამდე;
ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

VII. გამარჯვებულთა დაჯილდოება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VIII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:
ტელეფონი/ფაქსი 0322516466;
კონტაქტი:
ზურაბ უსუფაშვილი 577994407, ზაზა კოტორაშვილი 568614100.

PS.

- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა თეთრი და ლურჯი კიმანოს ქონა.
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- აკრძალულია ძიუდოისტებისთვის წონის კლება წონით კატეგორიაში მოსახვედრად. ძიუდოისტმა შეიძლება დაიკლოს მაქსიმუმ 1 (ერთი) კილოგრამი. ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მკაცრად იქნება გაკონტროლებული მონაწილეთა წონები და შესაძლებელია კონტროლი შეჯიბრების მიმდინარეობის დროსაც. იმ მწვრთნელთა მიმართ, რომელთა ძიუდოისტებიც დაარღვევენ წონის კლების დებულებას, ფედერაცია გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე